

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს (შემდგომში - დამოუკიდებელი საბჭო) სხდომის მომზადების, მოწვევის, წარმართვის და მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვა-სისტემატიზაციის წესებს.

2. ამ დებულებით განსაზღვრული წესები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ან იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით, სხვა წესები არ არის დადგენილი.

მუხლი 2. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის მოწვევა

1. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ, იწვევს და თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თუ არსებობს დამოუკიდებელი საბჭოს მოწვევის საჭიროება სხდომას მოიწვევს და თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

2. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნითაც. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის მოწვევის მოთხოვნის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ამ ვადაში მოუწვევლობის შემთხვევაში, სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის ან მის მიერ სხდომის მოუწვევლობის შემთხვევაში - სხდომის მოწვევის ინიციატორი დამოუკიდებელი საბჭოს უხუცესი წევრი.

3. დამოუკიდებელი საბჭოს წევრებს დამოუკიდებელი საბჭოს მომავალი სხდომის გამართვის ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობება ტელეფონით, ფაქსით, ელ-ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით.

4. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი სხდომის გამართვამდე არანაკლებ, ერთი კვირით ადრე, ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნული წესი შესაძლებელია არ იქნეს დაცული მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება №01/5-16)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება №01/5-17)

მუხლი 3. დამოუკიდებელი საბჭოს მიერ საკითხის გადაწყვეტის წესი

1. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

2. გადაწყვეტილებას იღებს მის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება №01/5-17)

მუხლი 4. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომაზე საკითხთა განხილვის და კენჭისყრის წესი

1. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება ესწრებოდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ან საბჭოს წევრთა წინასწარი შეთანხმებით, დამოუკიდებელი საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი პირი.

2. დამოუკიდებელი საბჭო ყოველ სხდომაზე კენჭისყრით ირჩევს სხდომის მდივანს, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას.

3. დამოუკიდებელი საბჭოს წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში და გამოთქვას მოსაზრება დღის წესრიგის ნებისმიერ საკითხზე.

4. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა ღიაა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო.

5. დამოუკიდებელი საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით. საკითხს კენჭისყრაზე აყენებს სხდომის თავმჯდომარე. დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

6. კენჭისყრა ღიაა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამოუკიდებელი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ. ღია კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით, ხოლო ფარული კენჭისყრა - სპეციალური ბარათების მეშვეობით.

მუხლი 5. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრის ჩატარების წესი

1. ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, დამოუკიდებელი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას, არანაკლებ, 2 წევრის შემადგენლობით.

2. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს ფარული კენჭისყრისათვის აუცილებელი სპეციალური ბარათების მომზადებას, ბეჭდვას და დარიგებას, რაშიც მას ტექნიკურ დახმარებას უწევს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი. სპეციალური ბარათი ხელმოწერილი უნდა იყოს ხმის დამთვლელი კომისიის ყველა წევრის მიერ. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი ხელმოწერით ადასტურებს სპეციალური ბარათის მიღებას.

3. სპეციალურ ბარათში აღინიშნება განსახილველი საკითხის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები ან კანდიდატის/კანდიდატების ჩამონათვალი (სახელი, გვარი). დამოუკიდებელი საბჭოს წევრი შემოხაზავს განსახილველი საკითხის გადაწყვეტის მისთვის სასურველ ერთ ვარიანტს, ან შემოხაზავს ასარჩევი რაოდენობიდან მისთვის სასურველი კანდიდატის/კანდიდატების რიგით ნომერს.

4. დაუშვებელია სპეციალური ბარათის შევსებისას განსახილველი საკითხის გადაწყვეტის ერთზე მეტი ვარიანტის შემოხაზვა ან ასარჩევი რაოდენობის კანდიდატზე მეტის რიგითი ნომრის შემოხაზვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპეციალური ბარათი ჩაითვლება ბათილად.

5. ფარული კენჭისყრის ჩატარების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისია ითვლის სპეციალურ ბარათებს და ადგენს ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ ოქმს. ოქმს ხელს აწერს

ხმის დამთვლელი კომისიის ყველა წევრი. კენჭისყრის შედეგებს დამოუკიდებელ საბჭოს აცნობს ხმის დამთვლელი კომისიის ერთ-ერთი წევრი.
(*დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №01/5-15*)

მუხლი 6. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებები

1. დამოუკიდებელი საბჭო განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებებს ხელს აწერს დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

2. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის შედგენაზე პასუხისმგებელია სხდომის მდივანი. სხდომის ოქმის შედგენას ტექნიკურად უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

3. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმს ერთვის დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა დასწრების ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს დამოუკიდებელი საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

3¹. დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სხდომის ოქმთან ერთად, სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმის და გადაწყვეტილებების ელექტრონულ ასლებს გამოქვეყნებამდე დაესმება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ელექტრონული შტამპი. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ასევე კანონმდებლობის საფუძველზე დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება და სხდომის ოქმი ქვეყნდება მხოლოდ შესაბამისი ინფორმაციის დაფარვით.

(*დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №01/5-15*)

(*დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება №01/5-17*)

(*დამოუკიდებელი საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება №01/27-18*)

მუხლი 7. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების რეკვიზიტები

1. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:
 - ა) სხდომის ოქმის ნომერი;
 - ბ) ვის მიერ იქნა სხდომა მოწვეული;
 - გ) სხდომის თარიღი, დაწყების და დამთავრების დრო, სხდომის გამართვის ადგილი;
 - დ) სხდომის თავმჯდომარის და დამსწრე წევრების ვინაობა, სხდომაზე მოწვეულ პირთა ვინაობა;
 - ე) სხდომაზე განსახილველი საკითხები, მომხსენებლის მიერ საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული მოხსენების მოკლე შინაარსი;
 - ვ) კენჭისყრის შედეგები;
 - ზ) მიღებული გადაწყვეტილება.
2. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
 - ა) გადაწყვეტილების სათაური;
 - ბ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
 - გ) გადაწყვეტილების სარეგისტრაციო ნომერი;
 - დ) დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი;
 - ე) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი;
 - ვ) ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და ხელმოწერა.
3. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ის ნორმატიული ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც გამოიცა გადაწყვეტილება.

დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებაზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი.

4. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმი ინომრება არაბული ციფრით, უწყვეტი ნუმერაციით. ნუმერაცია იწყება ერთიდან და ყოველ წელს ნუმერაციის ათვლა იწყება ხელახლა. მაგალითად: ოქმი N1, ოქმი N2, ოქმი N3 და ა.შ.

5. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებას აქვს სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: *პირველი კომპონენტი* - საბჭოს აღმნიშვნელი ინდექსი „01“, რომელიც უცვლელია; *მეორე კომპონენტი* - გადაწყვეტილების რიგითი ნომერი, რომელიც აღინიშნება არაბული ციფრებით და გრძელდება უწყვეტობის პრინციპით. ყოველ წელს ნუმერაციის ათვლა იწყება თავიდან; *მესამე კომპონენტი* - წელიწადის აღმნიშვნელი შემოკლებული რიცხვი. პირველი კომპონენტის შემდეგ მოდის სიმბოლო „/“, ხოლო მეორე კომპონენტის შემდეგ მოდის სიმბოლო „-“. მაგალითად: N01/1-14; N01/2-14; N01/3-14 და ა.შ.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება №01/5-16)

(დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება №01/5-17)

მუხლი 8. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღრიცხვა და სისტემატიზაცია

1. დამოუკიდებელი საბჭოს ოქმებისა და გადაწყვეტილებების აღრიცხვასა და სისტემატიზაციას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

2. დამოუკიდებელი საბჭოს ოქმების აღრიცხვა და სისტემატიზაცია მოიცავს შემდეგი მონაცემებს:

- ა) ოქმის ნომერი;
- ბ) სხდომის თარიღი;
- გ) სხდომის დღის წესრიგი;
- დ) მიღებული გადაწყვეტილება;
- ე) მიღებული გადაწყვეტილება სხდომის დახურულად გამოცხადების შესახებ.

3. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღრიცხვა და სისტემატიზაცია მოიცავს შემდეგ მონაცემებს:

- ა) გადაწყვეტილების სათაური;
- ბ) გადაწყვეტილების მიღების თარიღი, ადგილი და სხდომის ოქმის ნომერი, რომელზეც იქნა გადაწყვეტილება მიღებული;
- გ) გადაწყვეტილებისათვის მინიჭებული ნომერი;
- დ) გადაწყვეტილებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანის თარიღი.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №01/5-15)

მუხლი 9. დამოუკიდებელი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

დამოუკიდებელი საბჭოს სხდომების ორგანიზებას და სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

(დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №01/5-15)

შეტანილი ცვლილებები:

დამოუკიდებელი საბჭოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება №01/5-15

დამოუკიდებელი საბჭოს 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება №01/5-16

დამოუკიდებელი საბჭოს 2017 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება №01/5-17

დამოუკიდებელი საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება №01/27-18